სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N2

„გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება“ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლისა და მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში

UNHCR-ი გამოსცემს ამ სახელმძღვანელო პრინციპებს მისი მანდატის შესაბამისად, რომელიც დადგენილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდებით, და ასევე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის შესაბამისად. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ავსებს UNHCR-ის *სახელმძღვანელოს ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის თანახმად* (განახლებული გამოცემა, ჟენევა, 1992 წლის იანვარი). ისინი ცვლის დოკუმენტს IOM/132/1989 – FOM/110/1989 გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების შესახებ (UNHCR, ჟენევა, 1989 წლის 12 დეკემბერი) შემუშვებულია საერთაშორისო დაცვის გლობალური კონსულტაციების პროცესის მეორე ნაკადის საფუძველზე, რომელმაც ეს საკითხი განიხილა ექსპერტთა შეკრებაზე სან რემოში, 2001 წლის სექტემბერში.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს სამართლებრივი განმარტებითი მითითებების უზრუნველყოფას მთავრობებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის და სასამართლო ორგანოებისთვის, ასევე, UNHCR-ის თანამშრომელთათვის, რომლებიც ადგილებზე ახდენენ ლტოლვილთა სტატუსის განსაზღვრას.

I. შესავალი

1. „გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება“ დევნის ერთ-ერთი საფუძველია იმ ხუთთაგან, რომლებიც ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის („1951 წლის კონვენცია“) 1A(2) მუხლშია ჩამოთვლილი. ეს საფუძველი გამოირჩევა თავისი ბუნდოვანებით ვინაიდან იგი 1951 წლის კონვენციაში უშუალოდ განსაზღვრული არ არის. მასზე სულ უფრო ხშირად მიუთითებენ ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას, სახელმწიფოები ქალებს, ოჯახებს, ტომებს, პროფესიულ ჯგუფებს და ჰომოსექსუალებს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებად აღიარებენ 1951 წლის კონვენციის მიზნებისთვის. ამ საფუძვლის ევოლუციამ ხელი შეუწყო მთლიანად ლტოლვილის დეფინიციის აღქმას. ეს სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფს ლტოლვილის დეფინიციის, როგორც ერთი მთლიანის სამართლებრივ აღქმას. ისინი სამართლებრივ განმარტებას იძლევა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა არსებობდეს დევნის საფუძვლიანი შიში მისი გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე.

2. მიუხედავად ამისა, ეს საფუძველი დელიმიტაციას მოითხოვს - ანუ, არ შეიძლება იგი იმგვარად განიმარტოს, რომ კონვენციაში მითითებული დანარჩენი ოთხი საფუძველი ზედმეტად იქნეს მიჩნეული - სწორი განმარტება კონვენციის საგანსა და მიზანს უნდა შეესაბამებოდეს.[1] კონვენციის ენის თანახმად ეს კატეგორია არ შეიძლება განმარტებული იქნეს, როგორც „ყოვლისმომცველი“ ცნება, რომელიც მიესადაგება ყველა პირს, რომლებსაც დევნის შიში აქვთ. ამრიგად, კონვენციაში მოცემული ლტოლვილის დეფინიციის სტრუქტურისა და მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, სოციალური ჯგუფი არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ იმ ნიშნით, რომ იგი დევნის სამიზნეა (თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება განხილული, დევნა შეიძლება აქტუალური ფაქტორი გახდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფის თვალსაჩინოების დასადგენად).

3. არ არსებობს „დახურული სია“ ჯგუფებისა, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს „გარკვეულ სოციალურ ჯგუფს“ 1A(2) მუხლის მნიშვნელობით. კონვენციაში არ არის სოციალურ ჯგუფთა საგანგებო ჩამონათვალი, ხოლო მისი რატიფიცირების ისტორია არ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობს ჩამონათვალი იდენტიფიცირებული

[1] იხ. შემაჯამებელი დასკვნები - გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა, გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვის შესახებ, სან რემოს ექსპერტთა მრგვალი მაგიდა, 2001 წლის 6-8 სექტემბერი, N2 („შემაჯამებელი დასკვნები - კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა“).

ჯგუფებისა, რომლებიც შეიძლება მოცემულ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ. პირიქით, განმარტება ტერმინისა „გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება“ უნდა მოხდეს ევოლუციური გზით. იგი უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა საზოგადოებებში არსებულ ჯგუფთა ცვალებად ბუნებას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების განვითარებას.

4. კონვენციაში მითითებული საფუძვლები ურთიერთგამომრიცხავი არ არის. განმცხადებელი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას შეიძლება ექვემდებარებოდეს 1A(2) მუხლით დადგენილი რამდენიმე ნიშნის საფუძველზე.[2] მაგალითად, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მას ემუქრება დევნა ტრადიციული ტანისამოსის ტარებაზე უარის თქმის გამო. საზოგადოებაში არსებული კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მან შეიძლება თავისი სარჩელი დააფუძნოს პოლიტიკურ შეხედულებებს (თუკი განმცხადებლის ქცევას სახელმწიფო მიიჩნევს ისეთი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვად, რომელთა ჩახშობასაც იგი ცდილობს), რელიგიურ ნიშანს (თუკი განმცხადებლის ქცევა ეფუძნება რელიგიურ მრწამსს, რომელსაც სახელმწიფო ეწინააღმდეგება) ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებას.

II. არსებითი ანალიზი

A. სახელმწიფოთა პრაქტიკის მოკლე ანალიზი

5. სოციალური ჯგუფის მნიშვნელობა, 1951 წლის კონვენციის მნიშვნელობით, სხვადასხვაგვარადაა განმარტებული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ნორმატიულ აქტებში, პოლიტიკურ დოკუმენტებსა და პრაქტიკაში. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში გადაწყვეტილების მიღების ორი მიდგომა დომინირებს.

---

[2] იხ.UNHCR-ის სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის საფუძველზე (განახლებული გამოცემა, ჟენევა, 1992 წლის იანვარი), პარ. 66-67, 77; იხ. აგრეთვე შემაჯამებელი დასკვნები - გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა, N3.

6. პირველი, „დაცული მახასიათებლის“ მეთოდით (ზოგჯერ უწოდებენ „უცვლადობის“ მიდგომას) დგინდება, ხომ არ აერთიანებს მოცემულ ჯგუფს უცვლელი მახასიათებელი, ან მახასიათებელი, რომელსაც ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ადამიანის ღირსებისთვის, რომ არ შეიძლება პირი აიძულონ უარი თქვას მასზე. უცვლელი მახასიათებელი შეიძლება იყოს თანდაყოლილი (მაგალითად, სქესი ან ეთნიკური კუთვნილება), ან უცვლადი იყოს სხვა მიზეზთა გამო (წარსულში რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების ფაქტი, წარსული საქმიანობა ან სტატუსი). იმ მახასიათებელთა დასადგენად, რომელთა შეცვლის მოთხოვნა დაუშვებელია ადამიანის ღირსებისთვის მათი მნიშვნელობის გამო, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადამიანის უფლებათა ნორმები. ამ მიდგომის საფუძველზე, გადაწყვეტილების მიმღებმა, უნდა დაადგინოს, სავარაუდო ჯგუფი ხომ არ განისაზღვრება 1) თანდაყოლილი, უცვლელი მახასიათებლებით, 2) წარსულში დროებითი ან ნებაყოფლობითი სტატუსით, რომლის შეცვლაც, მისი ისტორიული მუდმივობის გამო, შეუძლებელია, ან 3) მახასიათებლით ან კავშირებით, რომლებსაც ადამიანის ღირსებისთვის იმდენად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რომ არ შეიძლება ჯგუფის წევრები აიძულონ უარი თქვან მასზე. მრავალ ქვეყანაში, ამ მეთოდის გამოყენების შედეგად, სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ, მაგალითად, ქალები, ჰომოსექსუალები და ოჯახები შეიძლება წარმოადგენდნენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს 1A(2) მუხლის მნიშვნელობით.
7. მეორე მიდგომით დგინდება, ხომ არა აქვთ ადამიანებს საერთო მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება მათი ცალკე ჯგუფად აღიარება ან საერთოდ საზოგადოებისაგან გამოყოფა. ამ მეთოდს „საზოგადოებრივი აღქმის“ პრინციპს უწოდებენ. ასეთი ანალიზის საფუძველზე გარკვეულ სოციალურ ჯგუფად ასევე მიიჩნევენ ქალებს, ოჯახებსა და ჰომოსექეუალებს, იმ საზოგადოების სიტუაციებიდან გამომდინარე, რომელშიც ისინი არსებობენ.
8. სამოქალაქო სამართლის სისტემის სახელმწიფოებში გარკვეული სოციალური ჯგუფის იდეა შედარებით სუსტადაა განვითარებული. გადაწყვეტილების მიმღებნი აქ მეტ ყურადღებას აქცევენ დევნის რისკის არსებობას, და არა კონკრეტული სოციალური ჯგუფის განსაზღვრის სტანდარტს. მიუხედავად ამისა, ყურადღება ექცევა როგორც „დაცული მახასიათებლების“, ისე „საზოგადოებრივი აღქმის“ მიდგომებს.

9. ამ ორ მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზი შეიძლება ხშირად ერთი მიმართულებით წარიმართოს. ამის მიზეზი არის ის, რომ ჯგუფებს, რომლის წევრებიც დევნას განიცდიან უცვლელი ან ფუნდამენტური საერთო მახასიათებლის გამო, საზოგადოებები ხშირად სოციალურ ჯგუფებად აღიქვამენ. მაგრამ, დროდადრო, ამ მიდგომებმა შესაძლოა სხვადასხვა შედეგი გამოიღოს. მაგალითად, სოციალური აღქმის სტანდარტის საფუძველზე სოციალურ ჯგუფებად შეიძლება აღიარებულ იქნეს გაერთიანებები, რომლებიც ეფუძნება ისეთ მახასიათებელს, რომელიც არც უცვლელია და არც ადამიანის ღირსებისთვის აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა - ვთქვათ, პროფესიას ან სოციალურ კლასს.

B. UNHCR-ის დეფინიცია

10. მიდგომებს შორის არსებული განსხვავებებისა და დაცვის ხარვეზების გათვალისწინებით, UNHCR-ი აუცილებლად მიიჩნევს ამ ორი მიდგომის შეჯერებას.
11. „დაცული მახასიათებლების“ მიდგომა შეიძლება მიჩნეული იქნეს ჯგუფთა მთელი წყების განსაზღვრის საფუძვლად, რაც „საზოგადოებრივი აღქმის“ ანალიზის ღერძს წარმოადგენს. შესაბამისად, გონივრული იქნება ერთიანი სტანდარტის მიღება, რომელიც ორივე გავრცელებულ მიდგომას მოიცავს:

> გარკვეული სოციალური ჯგუფი არის პირთა ერთობლიობა, რომლებსაც გარდა იმისა რომ აქვთ დევნის საფრთხე, გააჩნიათ საერთო მახასიათებელი; ან რომლებსაც საზოგადოება აღიქვამს ჯგუფად. ეს მახასიათებელი ხშირად არის თანდაყოლილი, უცვლელი, ან სხვაგვარად არის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პირის იდენტობისთვის, სინდისისთვის ან მის მიერ ადამიანის უფლებების განხორციელებისთვის.

12. ეს დეფინიცია მოიცავს როგორც ისტორიულ მახასიათებლებს (რომლებიც უცვლელია), ისე სხვა მახასიათებლებსაც, რომელთა შეცვლაც შესაძლებელია, მაგრამ მათი შეცვლა არ უნდა მოითხოვონ, რადგან ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული პირის იდენტობასთან, ან ადამიანის ძირითად უფლებებს გამოხატავენ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სქესი შეიძლება იქნეს სოციალური ჯგუფის გამოყოფის ნიშანი, ხოლო ქალი სოციალური ქვესიმრავლის თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც განისაზღვრება

თანდაყოფლილი და უცვლელი მახასიათებლებით, და რომლებსაც ხშირად სხვაგვარად ეპყრობიან, ვიდრე მამაკაცებს.[3]

13. თუ განმცხადებელი მიუთითებს სოციალურ ჯგუფზე, რომელიც ეფუძნება მახასიათებელს, რომელიც არ არის მიჩნეული უცვლელად ან ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონედ, მაშინ საჭიროა დამატებითი ანალიზის განხორციელება, რათა დადგინდეს, მიუხედავად ამისა, ხომ არ აღიქმება იგი საზოგადოების მიერ ცალკე ჯგუფად. მაგალითად, თუკი დადგინდა, რომ მოცემულ საზოგადოებაში მაღაზიის მფლობელობა ან გარკვეული პროფესიული საქმიანობა ადამიანის იდენტურობის არც უცვლელი და არც ფუნდამენტური ასპექტი არ არის, მაღაზიათა მფლობელები და გარკვეული პროფესიის ადამიანები მაინც მიეკუთვნებიან კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, თუკი მათ საზოგადოება ცალკე ჯგუფად აღიარებს.

დევნის როლი

14. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკრეტული სოციალური ჯგუფის გამოყოფა არ შეიძლება მხოლოდ დევნის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება ჯგუფის წევრების მიმართ. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მიმართ დევნის ფაქტები შეიძლება განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდეს მოცემულ საზოგადოებაში ჯგუფის თვალსაჩინოების დასადგენად.[4] აი ერთი მაგალითი დადგენილებისა, რომლის ციტირებაც ხშირად ხდება: „მართალია, დევნის განხორციელებით არ შეიძლება განისაზღვროს სოციალური ჯგუფი, მაგრამ დევნის განმახორციელებელთა მოქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებაში კონკრეტული სოციალური ჯგუფის გამოვლენას ან თვით შექმნასაც კი. ცაციები არ მიეკუთვნებიან კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, თუმცა, თუკი მათ დევნას დაუწყებენ ამის გამო, მალე მათ საზოგადოებაში უდავოდ შეიქმნება პირობები ცალკე სოციალურ ჯგუფად მათი

---

[3] დამატებითი ინფორმაცია გენდერთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ იხ. 'UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: გენდერული ნიშნით დევნა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლისა და მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში (HCR/GIP/02/01, 2002 წლის 10 მაისი)', აგრეთვე, გენდერის ნიშნით დევნის შესახებ ექსპერტთა მრგვალი მაგიდის შემაჯამებელი დასკვნები, სან რემო, 2001 წლის 6-8 სექტემბერი, N5.

[4] იხ. შემაჯამებელი დასკვნები - გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა, N6.

აღიარებისთვის. ამ ნიშნით დევნა საზოგადოებას შეუქმნიდა წარმოდგენას, რომ ისინი გარკვეულ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ. მაგრამ ისინი გამორჩეული იქნებოდნენ საზოგადოებაში არა დევნის ნიშნით, არამედ თავიანთი ცაციობით".[5]

აუცილებელი არ არის ჯგუფი იყოს შეკრული

15. სახელმწიფოებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის თანახმად განმცხადებლებს არ მოეთხოვებათ ამტკიცონ, რომ კონკრეტული ჯგუფის წევრები ერთმანეთს იცნობენ ან ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ჯგუფის მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი მოთხოვნა არ არის ჯგუფი იყოს „შეკრული".[6] მთავარია დადგინდეს, აქვთ თუ არა ჯგუფის წევრებს გარკვეული საერთო ელემენტი. ეს ანალოგიურია იმ ანალიზისა, რომელიც გამოიყენება კონვენციაში მითითებული დევნის სხვა საფუძვლების მიმართ, სადაც გარკვეული რელიგიური მრწამსის ან პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებისაგან არ მოითხოვება გაერთიანებების ან „შეკრული" ჯგუფების შექმნა. ამრიგად, გარკვეულ გარემოებებში ქალები შეიძლება ქმნიდნენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, სქესის საერთო მახასიათებლების საფუძველზე, იმის მუხედავად, არიან თუ არა ისინი ერთმანეთთან გაერთიანებულნი ამ საერთო მახასიათებლის ნიშნით.
16. გარდა ამისა, გარკვეული სოციალური ჯგუფის უბრალო წევრობა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის დასაბუთებისთვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის. თუმცა შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომლის დროსაც უბრალოდ ჯგუფისადმი კუთვნილება შეიძლება საკმარისი იქნეს იმისთვის, რომ არსებობდეს დევნის შიში.[7]

აუცილებელი არ არის, რომ დევნის საფრთხე არსებობდეს ჯგუფის ყველა წევრის მიმართ

---

[5] McHugh, J., საქმეში Applicant A v. Minister for Immigration and Ethnic Affairs, (1997) 190 CLR 225, 264, 142 ALR 331.

[6] იხ. შემაჯამებელი დასკვნები - გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა, N 4.

[7] იხ. UNHCR-ის სახელმძღვანელო, პარ.79.

17. გარკვეული სოციალური ჯგუფის არსებობის დასადასტურებლად განმცხადებელს არ მოეთხოვება უჩვენოს, რომ დევნა ემუქრება ჯგუფის ყველა წევრს.[8] დევნის სხვა საფუძვლების მსგავსად, აუცილებელი არ არის დაამტკიცონ, რომ დევნა ემუქრება პოლიტიკური პარტიის ან ეთნიკური ჯგუფის ყველა წევრს. ჯგუფის ზოგიერთ წევრს შეიძლება საფრთხე არ ემუქრებოდეს, თუკი ისინი, მაგალითად, არ ამჟღავნებენ საერთო მახასიათებლებს, მათ არ იცნობენ დევნის განმახორციელებლები, ან ისინი თანამშრომლობენ მათთან.

ჯგუფის სიდიდე აქტუალური არ არის

18. სავარაუდო სოციალური ჯგუფის სიდიდეს არა აქვს მნიშვნელობა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გარკვეული სოციალური ჯგუფი 1A(2) მუხლის გაგებით. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, რომლებიც დაკავშირებულია დევნის სხვა საფუძვლებთან, რომლებიც კონვენციაშია მითითებული. მაგალითად, სახელმწიფო შეიძლება ცდილობდეს რელიგიური ან პოლიტიკური იდეოლოგიის ჩახშობას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული კონკრეტული საზოგადოების წევრებს შორის (შეიძლება მისი მიმდევარი მოსახლეობის უმრავლესობაც კი იყოს); ის ფაქტი, რომ დევნა ემუქრება ადამიანთა დიდ რაოდენობას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე უარის თქმას იქ, სადაც ეს სხვაგვარად შესაბამისია.
19. მთელ რიგ ქვეყნებში, საქმეთა განხილვისას, „ქალებს“ გარკვეულ სოციალურ ჯგუფად აღიარებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ საზოგადოებაში ყველა ქალს აქვს ლტოლვილის სტატუსის მიღების უფლება. განმცხადებელმა მაინც უნდა დაამტკიცოს, რომ მას აქვს დევნის საფუძვლიანი შიში კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების გამო; იგი არ უნდა მოექცეს რომელიმე გამომრიცხავი დებულების ფარგლებში; და უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი კრიტერიუმები.

[8] იხ. შემაჯამებელი დასკვნები - გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა, N 7.

არასახელმწიფო აქტორები და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი („რის შედეგადაც“)

20. კონკრეტული ჯგუფის წევრობის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას ხშირად ითხოვენ განმცხადებლები, რომლებსაც ზიანის საფრთხე ემუქრებათ არასახელმწიფო აქტორებისაგან. ასეთი საქმეების განხილვისას ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზი. მაგალითად, ჰომოსექსულები შეიძლება გახდნენ კერძო ჯგუფების ძალადობის მსხვერპლნი; ქალებს შეიძლება დაემუქროს არასათანადო მოპყრობა ქმრების ან პარტნიორების მხრიდან. კონვენციის თანახმად, პირს უნდა ჰქონდეს დევნის საფუძვლიანი შიში, და ეს შიში უნდა ეფუძნებოდეს კონვენციაში მითითებულ ერთ ან რამდენიმე საფუძველს. არ არსებობს მოთხოვნა იმისა, რომ დევნის განმახორციელებელი აუცილებლად სახელმწიფო აქტორი უნდა იყოს. თუკი დისკრიმინაციული ან სხვა მტრული ქმედებები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხორციელდება, ისინიც შეიძლება მიჩნეულნი იქნენ დევნის განმახორციელებლებად, თუ ხელისუფლებამ იცის ამის შესახებ და ეგუება მას, ან თუკი ხელისუფლება უარს ამბობს ან არ ძალუძს ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა.[9]
21. ჩვეულებრივ, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ პირი, რომელიც ზიანს აყენებს მას ან ასეთი ქმედებებით ემუქრება, კონვენციაში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლით ხელმძღვანელობს. თუკი არასახელმწიფო აქტორი დევნას ახორციელებს ან დევნით ემუქრება კონვენციაში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლით, ხოლო სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია განმცხადებლის დაცვა, მაშინ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დადგენილია. ანუ, მსხვერპლს ზიანს აყენებენ კონვენციაში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლით.
22. შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაციაც, როდესაც განმცხადებელს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ არასახელმწიფო აქტორი აყენებს ზიანს ან ემუქრება ხუთიდან ერთ-ერთი საფუძვლით. მაგალითად, ოჯახში ძალადობის დროს ცოლი ყოველთვის ვერ ამტკიცებს, რომ ქმარმა მის მიმართ ძალა იხმარა სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, პოლიტიკური მრწამსის ან რაიმე სხვა მოტივით, რომლებიც კონვენციაშია მითითებული. მიუხედავად ამისა, თუკი სახელმწიფოს არ სურს დაიცვას იგი ხუთიდან რომელიმე მოტივის შედეგად, მაშინ მან შეიძლება დაასაბუთოს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა: ქმრის მიერ მისთვის მიყენებული ზიანი განპირობებულია იმით,

[9] იხ. UNHCR-ის სახელმძღვანელო, პარ. 65.

რომ სახელმწიფოს არ სურს მისი დაცვა კონვენციაში მითითებული მოტივების საფუძველზე.

23. ეს არგუმენტები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება დადგენილად იქნეს მიჩნეული: (1) როდესაც არსებობს დევნის რეალური რისკი არასახელმწიფო აქტორის მხრიდან იმ მიზეზებით, რომლებიც დაკავშირებულია კონვენციის ერთ-ერთ საფუძველთან, იმის მიუხედავად, არის თუ არა დაკავშირებული ამ საფუძველთან სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის დაცვაზე უარის თქმა; ან 2) როდესაც არასახელმწიფო აქტორის მხრიდან დევნის საფრთხე არ არის დაკავშირებული კონვენციაში არსებულ არცერთ საფუძველთან, მაგრამ სახელმწიფოს მიერ დაცვის უზრუნველყოფის უუნარობა ან სურვილის არქონა კონვენციაში მითითებულ ერთ-ერთ მიზეზთანაა დაკავშირებული.